რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№510/თ

„06“ სექტემბერი, 2022 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

რუსთავის საქალაქო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ევროპის საბჭო, საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომების შესახებ 2021 წლის ანგარიშში და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის (ცაესის) ინსტიტუტი, დისტანციური მართლმსაჯულების პრაქტიკულ სახელმძღვანელოში ყურადღებას ამახვილებს ელექტრონული მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოში ისეთი პირობების შექმნაზე, რომელიც სამართლებრივი კონსულტანციის საჭიროებისას უზრუნველყოფს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული რეკომენდაციების განუხრელად შესრულების, რუსთავის საქალაქო სასამართლოში დისტანციური სხდომების მოქნილობის გაზრდის და ადვოკატსა და პატიმრობაში მყოფ, მის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციისას კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელე რა ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და ,,თ" ქვეპუნქტებით; საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში დისტანციურად განსახილველ საქმეებზე ადვოკატისა და პატიმრობაში მყოფ, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან მცირე ხნიანი კომუნიკაციისა და მისი კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს შემდეგი ორგანიზაციული საკითხები:

ა) რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში დისტანციური წესით საქმის განხილვისას, როდესაც ადვოკატი იმყოფება სასამართლოს შენობაში, ხოლო პატიმრობაში მყოფი, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული სხდომაში მონაწილეობს დისტანციურად (პენიტენციური დაწესებულებიდან), თუ წარმოიშვა აუცილებლობა ადვოკატსა და ბრალდებულს შორის შედგეს კომუნიკაცია პოზიციების შესაჯერებლად და მის გარეშე სხდომის შემდგომი გაგრძელება მიზანშეუწონელია, სხდომის თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას

კონკრეტული დროით (არანაკლებ 15 წუთი). თავის მხრივ სასამართლოს სხდომის მდივანი აღნიშნულის თაობაზე ატყობინებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში შრომითი ხელშეკრულებით მიღებულ დამხმარე მოსამსახურეს - დიანა ბენაშვილს, ხოლო მისი არყოფნისას №1 საგუშაგოს მანდატურს და უთანხმებს თუ რომელი ელექტრონული პროგრამის გამოყენებით (meet.court.ge, webex, zoom, skype) უნდა შედგეს დაკავშირება რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფოიეში განთავსებულ მცირე საოფისე სივრცესა და სხდომის დარბაზს შორის;

ბ) სხდომი მდივანი ელექტრონული პროგრამის (meet.court.ge, webex, zoom, skype) გამოყენებით ახდენს მცირე საოფისე სივრცესთან დისტანციურად დასაკავშირებელი მოწვევის გაგზავნას (მეილი: rustavicitycourt2@gmail.com). თავის მხრივ რუსთავის საქალაქო სასამართლოში შრომითი ხელშეკრულებით მიღებული დამხმარე მოსამსახურე - დიანა ბენაშვილი, ხოლო მისი არყოფნისას №1 საგუშაგოს მანდატური, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მცირე საოფისე სივრცეში მოწყობილ კომპიუტერში რთავს შესაბამის ელექტრონულ პროგრამას, ახდენს სხდომაში ჩართვას და კავშირის გამართულობის შემოწმებას;

გ) მცირე საოფისე სივრცის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით დისტანციურად დაკავშირებისთანავე ადვოკატი ტოვებს სხდომის დარბაზს, რის შემდეგაც რუსთავის საქალაქო სასამართლოში შრომითი ხელშეკრულებით მიღებული დამხმარე მოსამსახურე - დიანა ბენაშვილი, ხოლო მისი არყოფნისას №1 საგუშაგოს მანდატური უზრუნველყოფს ადვოკატის მცირე საოფისე სივრცეში შეყვანას, მასსა და პატიმრობაში მყოფ, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციის მიზნით;

დ) რუსთავის საქალაქო სასამართლოში შრომითი ხელშეკრულებით მიღებული დამხმარე მოსამსახურე - დიანა ბენაშვილი, ხოლო მისი არყოფნისას №1 საგუშაგოს მანდატური ვალდებულია მცირე საოფისე სივრცეში დაუშვას მხოლოდ ადვოკატი. თანმხლები ან/და გარეშე პირები არ დაიშვებიან;

ე) სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე სხდომის მდივანი ვალდებულია ადვოკატის და პატიმრობაში მყოფი, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკავშირებისთანავე დროებით გათიშოს ამავე პროგრამით მოწვეული პროცესში მონაწილე სხვა პირები (პროკურორი, სხვა ბრალდებული, სხვა ბრალდებულის დამცველი და მოწმე) და განუმარტოს მათ, რომ შესვენების დასრულებისთანავე უკვე მიღებული ელ. მოწვევით უნდა დაბრუნდნენ სხდომაზე შეხსენების გარეშე (თუ სხვა ბრალდებული ერთვება პენიტენციური დაწესებულებიდან, დაწესებულების ადმინისტრაციასთან ამყარებს კომუნიკაციას შესვენების შემდგომი ჩართვის უზრუნველსაყოფად). ასევე დროებით თიშავს დისტანციური სამართალწარმოების პროგრამის ე.წ. „ჩაწერის“ ფუნქციას, სხდომის დარბაზიდან გამავალ ხმას და სხდომის დარბაზში არსებულ დინამიკებს (რათა შეუძლებელი იყოს დამცველსა და ბრალდებულს შორის მიმდინარე კომუნიკაციის მოსმენა);

ვ) ადვოკატსა და პატიმრობაში მყოფ, მის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციისას სხდომის მდივანი უზრუნველყოფს სხდომის დარბაზში განთავსებული ე.წ. „Avigilon“-ის კამერის ჩართულ

მდგომარეობაში დატოვებას და მოთხოვნის შემთხვევაში, ვიდეო ჩანაწერის იმ დამცველისთვის გადაცემას, რომელმაც გამართა კონსულტაცია მისი დაცვის ქვეშ მყოფთან, რათა ეს უკანასკნელი დარწმუნდეს, რომ ადვოკატსა და პატიმრობაში მყოფ, მის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კომუნიკაციისას დაცული იყო კონფიდენციალურობა;

ზ) რუსთავის საქალაქო სასამართლოში შრომითი ხელშეკრულებით მიღებული დამხმარე მოსამსახურე - დიანა ბენაშვილი, ხოლო მისი არყოფნისას №1 საგუშაგოს მანდატური ვალდებულია ვიზუალური კონტროლი განახორციელოს მცირე საოფისე ფართის გამოყენებით მიმდინარე კონსულტაციას, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სხდომის მდივანს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ქსელის ადმინისტრატორს, ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრისა და კომუნიკაციის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით;

თ) კომუნიკაციის დასრულების და ადვოკატის მცირე საოფისე სივრცის დატოვებისთანავე რუსთავის საქალაქო სასამართლოში შრომითი ხელშეკრულებით მიღებული დამხმარე მოსამსახურე - დიანა ბენაშვილი, ხოლო მისი არყოფნისას №1 საგუშაგოს მანდატური ვალდებულია დაუყოვნებლივ გათიშოს მცირე საოფისე ფართის ელექტრონული პროგრამა და კომუნიკაციის დასრულების თაობაზე შეატყობინოს სხდომის მდივანს, რომელიც უზრუნველყოფს სხდომის განახლების მიზნით შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას, მათ შორის პროგრამაში გამორთული ფუნქციების და პროგრამით მოსაწვევი სუბიექტების ჩართვას;

2. გადაუდებელ შემთხვევებში იგივე წესები შეიძლება გავრცელდეს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დისტანციური წესით განსახილველ საქმეებზე (თუ მონაწილე მხარე ერთვება პენიტენციური დაწესებულებიდან) შესაბამისი სპეციფიკის და პროცესში მონაწილე სუბიექტების სტატუსის გათვალისწინებით;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

5. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლებს და მოსამართლეებს;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე